სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990
შაბათი
7
ივლისი
№81 (10318)
ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

# პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ

## თავი 1. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. პრესის თავისუფლება**

პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები თავისუფალი არიან.

სსრ კავშირის კონსტიტუციით მოქალაქეთათვის გარანტირებული სიტყვის თავისუფლება და პრესის თავისუფლება ნიშნავს უფლებას, გამოთქვან აზრები და მრწამსი, ეძებონ, აირჩიონ, მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია და იდეები ყოველი ფორმით, მათ შორის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

მასობრივი ინფორმაციის ცენზურა არ დაიშვება.

**მუხლი 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები**

ამ კანონში მასობრივ ინფორმაციად იგულისხმება საჯაროდ გავრცელებული ნაბეჭდი, აუდიო- და აუდიოვიზუალური ცნობები და მასალები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებად იგულისხმება გაზეთები, ჟურნალები, ტელე- და რადიოპროგრამები, კინოდოკუმენტალისტიკა, მასობრივი ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების სხვა პერიოდული ფორმები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს წარმოადგენენ პერიოდული პრესის, ტელე- და რადიომაუწყებლობის რედაქციები (საინფორმაციო სააგენტოები, სხვა დაწესებულებები, რომლებიც მასობრივ ინფორმაციას უშვებენ).

**მუხლი 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ენა**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ იმ ხალხთა ენების გამოყენებით, რომლებსაც ისინი ემსახურებიან ან რომელთა ინტერესებს წარმოადგენენ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ გაავრცელონ მასობრივი ინფორმაცია სხვა ენებზე.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მშობლიური ენისა და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენების გამოყენებაზე სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებას მასობრივი ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების დროს სსრ კავშირის ხალხთა ენების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 4. საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა.**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რედაქცია არის იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს თავისი წესდების საფუძველზე.

რედაქციას უფლება აქვს ახორციელებდეს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სამეურნეო ანგარიშის პირობებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის სახელმწიფო დოტაციების მიცემის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

**მუხლი 5. სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა**

არ დაიშვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება სახელმწიფო ან კანონით სპეციალურად დაცული სხვა საიდუმლოების შემადგენელი ცნობების გახმაურებისათვის, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობრივი დამხობის ან შეცვლის მოწოდებისათვის, ომის, ძალადობისა და სისასტიკის, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური განსაკუთრებულობის ან შეუწყნარებლობის პროპაგანდისათვის, პორნოგრაფიის გავრცელებისათვის, სხვა სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენის მიზნით.

იკრძალება და ისჯება კანონის შესაბამისად მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევისათვის, მათი პატივისა და ღირსების ხელყოფისათვის.

**მუხლი 6. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ.**

კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ შედგება ამ კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან, აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონების, კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

## თავი 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობის ორგანიზაცია

**მუხლი 7. მასობრივი ინფორმაციის საშუალების დაარსების უფლება**

მასობრივი ინფორმაციის საშუალების დაარსების უფლება ეკუთვნის სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივ მოძრაობებს, შემოქმედებით კავშირებს, მოქალაქეთა კოოპერაციულ, რელიგიურ, სხვა გაერთიანებებს, რომლებიც შექმნილია კანონის შესაბამისად, შრომით კოლექტივებს, აგრეთვე თვრამეტი წლის ასაკს მიღწეულ სსრ კავშირის მოქალაქეებს.

არ დაიშვება რომელიმე სახეობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა (პრესა, რადიო, ტელევიზია და სხვა) მონოპოლიზაცია.

**მუხლი 8. მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაცია**

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქცია თავის საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციის შემდეგ.

საერთო-საკავშირო აუდიტორიისათვის გათვალისწინებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეგისტრაციის შესახებ განცხადება დამფუძნებლებს შეაქვთ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, რომლებსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. ხოლო რესპუბლიკური ან ადგილობრივი აუდიტორიისათვის გათვალისწინებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეგისტრაციის შესახებ განცხადებები — შესაბამის აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებში. რეგისტრაციის შესახებ განცხადება უნდა განიხილონ მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით რესპუბლიკური ან ადგილობრივი აუდიტორიისათვის გათვალისწინებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეგისტრაცია შეიძლება დაეკისროთ სხვა სახელმწიფო ორგანოებს.

საზღვარგარეთის აუდიტორიისათვის გათვალისწინებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს რეგისტრაციაში ატარებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში.

მასობრივი ინფორმაციის გამოშვების დაწყების უფლება რჩება მოწმობის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში. ამ ვადის გადაცილების შემთხვევაში რეგისტრაციის შესახებ მოწმობა ძალადაკარგულად ითვლება.

**მუხლი 9. განცხადება მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციის შესახებ**

განცხადებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს:

1) დამფუძნებელი;

2) მასობრივი ინფორმაციის საშუალების სახელწოდება, ენა (ენები), ადგილმდებარეობა;

3) სავარაუდო აუდიტორია;

4) საპროგრამო მიზნები და ამოცანები;

5) გამოშვების სავარაუდო პერიოდულობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალების მაქსიმალური მოცულობა და დაფინანსების წყაროები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციის დროს სხვა მოთხოვნების წამოყენება აკრძალულია.

**მუხლი 10. რეგისტრაციის გარეშე ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები**

რეგისტრაციის გარეშე ინფორმაციის საჯარო გავრცელების უფლება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს, სხვა სახელმწიფო ორგანოებს ოფიციალური ნორმატიული და სხვა აქტების, სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკის ბიულეტენების გამოსაცემად.

საწარმოებს, ორგანიზაციებს, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებს უფლება აქვთ შექმნან და გაავრცელონ მათს საქმიანობაში საჭირო საინფორმაციო მასალები და დოკუმენტაცია რეგისტრაციის გარეშე. რეგისტრაცია არ სჭირდება საქმიანობას ტექნიკური საშუალებების დახმარებით — ისეთი ბეჭდვითი, ვიდეო- და აუდიოვიზუალური პროდუქციის დამზადებისათვის, რომელიც განკუთვნილი არ არის საჯარო გავრცელებისათვის ან მრავლდება ხელნაწერის უფლებებით.

რეგისტრაცია არ სჭირდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ათას ცალზე ნაკლები ტირაჟით ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვებისას.

**მუხლი 11. მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციაზე უარის თქმა**

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციაზე უარის თქმა ხდება მხოლოდ შემდეგი საფუძვლებით:

1) თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალების სახელწოდება, მისი საპროგრამო მიზნები და ამოცანები ეწინააღმდეგება ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის დებულებებს;

2) თუ მარეგისტრირებელმა ორგანომ ადრე მისცა მოწმობა ამავე სახელწოდების მასობრივი ინფორმაციის საშუალებას;

3) თუ განცხადება შეტანილია მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის გასვლამდე.

რეგისტრაციაზე უარის თქმა განმცხადებელს ეგზავნება წერილობითი ფორმით, რომელშიც აღინიშნება ამ კანონით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძვლები.

**მუხლი 12. სარეგისტრაციო მოსაკრებელი.**

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციის შესახებ მოწმობის გაცემისათვის სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა ხდება სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

# პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ

(გაგრძელება)

**მუხლი 13. მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოშვების ან გამოცემის შეწყვეტა**

მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოშვების ან გამოცემის შეწყვეტა შეიძლება დამფუძნებლის ან იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელმაც მასობრივი ინფორმაციის საშუალება რეგისტრაციაში გაატარა, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ორგანო, რომელმაც მასობრივი ინფორმაციის საშუალება რეგისტრაციაში გაატარა, ან სასამართლო წყვეტს მის გამოშვებას ან გამოცემას წლის განმავლობაში ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა ხელმეორედ დარღვევის შემთხვევაში.

თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება არ გამოიშვება ან არ გამოიცემა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მისი განახლებისათვის საჭიროა რეგისტრაციის შესახებ ახალი მოწმობა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოშვების ან გამოცემის შეწყვეტის შესახებ დამფუძნებლის გადაწყვეტილების შემთხვევაში მისი რედაქციის შრომით კოლექტივს ან რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) აქვს უპირატესი უფლება დააარსოს იმავე სახელწოდების მასობრივი ინფორმაციის საშუალება.

**მუხლი 14. მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციაზე უარის თქმის, აგრეთვე მისი საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.**

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციაზე უარის თქმა ან სახელმწიფო ორგანოს მიერ რეგისტრაციისათვის დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევა, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება დამფუძნებელმა ან რედაქციამ გაასაჩივროს სასამართლოში და განიხილავს სასამართლო, მათ შორის ქონებრივ დავას, სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციაზე უარის თქმის ან მისი საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგოდ ცნობა აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას. მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება იწვევს იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მიადგა დამფუძნებელს, რედაქციას და გამომცემელს, მათ შორის შემოსავლისას, რომელიც არ მიიღეს.

**მუხლი 15. მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებელი, რედაქტორი, რედაქცია და გამომცემელი.**

დამფუძნებელი ამტკიცებს მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის პროგრამას (ძირითად პრინციპებს). რედაქცია ან სხვა დაწესებულება, რომელიც მასობრივი ინფორმაციის გამოშვებას უზრუნველყოფს, ახორციელებს პროგრამას პროფესიული დამოუკიდებლობის საფუძველზე.

რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) ნიშნავს და ათავისუფლებს მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებელი ან აირჩევა და თავისუფლდება სარედაქციო წესდებით გათვალისწინებული წესით. რედაქტორი (მთავარი რედაქტორი) ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგიის და მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციის მუშაობას; წარმოადგენს მას დამფუძნებელთან, გამომცემელთან, ავტორებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მოქალაქეთა სხვა გაერთიანებებთან და მოქალაქეებთან ურთიერთობაში, აგრეთვე სასამართლოში.

რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) ეკისრება პასუხისმგებლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობისადმი წაყენებული მოთხოვნების შესრულებისათვის ამ კანონის და კანონმდებლობის სხვა აქტების საფუძველზე.

სარედაქციო კოლეგია იქმნება სარედაქციო წესდებით გათვალისწინებული წესით. სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეა რედაქტორი (მთავარი რედაქტორი).

მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამომცემელი შეიძლება იყოს მისი დამფუძნებელი, ასევე გამომცემლობა ან სხვა იურიდიული პირი, რომლებიც ახორციელებენ მასობრივი ინფორმაციის წარმოების (ტირაჟირება, გამოშვება) მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

**მუხლი 16. მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო წესდება.**

მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო წესდებას იღებენ რედაქციის ჟურნალისტთა კოლექტივის საერთო კრებაზე ხმების უმრავლესობით, როცა ესწრება მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი, და ამტკიცებს დამფუძნებელი.

სარედაქციო წესდება აწესრიგებს დამფუძნებლის, რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) და რედაქციის ურთიერთობას, ჟურნალისტთა კოლექტივის უფლებამოსილებას. წესდებაში შედის დებულებანი მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის განაწილებისა და გამოყენების წესის შესახებ, სხვა დებულებანი.

სარედაქციო წესდება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას.

**მუხლი 17. მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებლის, რედაქციისა და გამომცემლის საწარმოო, ქონებრივი და ფინანსური ურთიერთობანი.**

მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებლის, რედაქციისა და გამომცემლის საწარმოო, ქონებრივი და ფინანსური ურთიერთობა აიგება მოქმედი კანონმდებლობისა და ხელშეკრულების საფუძველზე.

ხელშეკრულებით განისაზღვრება:

რედაქციის შენახვის სახსრები;

მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის (მოგების) ნაწილი, რომელიც მიდის რედაქციის, დამფუძნებლისა და გამომცემლის განკარგულებაში;

დამფუძნებლისა და გამომცემლის ვალდებულებანი რედაქციის თანამშრომელთა ცხოვრებისა და შრომის სათანადო საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფისათვის;

სხვა დებულებანი.

**მუხლი 18. ბეჭდილობის ცნობები.**

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ყოველ გამოშვებას უნდა ჰქონდეს შემდეგი ცნობები:

1) გამოცემის სახელწოდება;

2) დამფუძნებელი;

3 რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) გვარი და ინიციალები;

4) გამოშვების რიგითი ნომერი და გამოსვლის თარიღი პერიოდული გამოცემებისათვის, ხოლო გაზეთებისათვის—აგრეთვე დასაბეჭდად ხელმოწერის დროც;

5) კავშირგაბმულობის საწარმოს მეშვეობით გავრცელებულ პერიოდულ გამოცემათა ინდექსი;

6) ტირაჟი;

7) ფასი (გამოცემის კომერციული გავრცელების დროს);

8) რედაქციის, გამომცემლის, სტამბის მისამართები.

ეთერში ყოველი გასვლის დროს, უწყვეტი მაუწყებლობის დროს კი — დღე-ღამეში ოთხჯერ მაინც ტელე-რადიომაუწყებლობის რედაქცია მოვალეა გამოაცხადოს ტელე-რადიომაუწყებლობის რედაქციის დასახელება.

**მუხლი 19. საკონტროლო და სავალდებულო ეგზემპლარები**

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების უფასო საკონტროლო ეგზემპლარები დაბეჭდვის შემდეგ მაშინვე ეგზავნებათ საკავშირო წიგნის პალატას, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკას, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას, დამფუძნებელს, ორგანოს, რომელმაც გასცა მოწმობა ამ ბეჭდვითი გამოცემის რეგისტრაციის შესახებ.

პრესის ნაწარმოებების საკონტროლო და სავალდებულო ეგზემპლარები ეგზავნებათ აგრეთვე სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ განსაზღვრული წესით.

**მუხლი 20. ტელე და რადიოგადაცემების მასალების შენახვა**

ტელე-რადიომაუწყებლობის რედაქციები მოვალენი არიან გადაცემების მასალები შეინახონ ეთერში გასვლის შემდეგ ერთი თვის მანძილზე, აწარმოონ ეთერში წინასწარ ჩაუწერლად მიმავალი გადაცემების რეგისტრაციის ჟურნალი, რომელშიც დაფიქსირებულია გადაცემის თემა, თარიღი, მისი დაწყებისა და დამთავრების დრო, წამყვანის გვარი და სახელი. ასეთი გადაცემების რეგისტრაციის ჟურნალი ინახება მასში უკანასკნელი ჩანაწერის დღიდან ერთი წლის მანძილზე.

## თავი 3. მასობრივი ინფორმაციის გავრცელება

**მუხლი 21. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციის რეალიზაციის წესი.**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციას ავრცელებენ გამომცემელი უშუალოდ ანდა ხელშეკრულებით ან სხვა კანონიერ საფუძველზე კავშირგაბმულობის საწარმოები, სხვა ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციის გავრცელება ბეჭდილობის ცნობების აღუნიშნავად აკრძალულია.

**მუხლი 22. მასობრივი ინფორმაციის გავრცელების ნებართვა**

მასობრივი ინფორმაციის საშუალების პროდუქციის თითოეული ცალკე გამოშვების (ბეჭდილობის ცნობებით) გავრცელება დაშვებულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც რედაქტორი (მთავარი რედაქტორი) მისცემს გამოსაქვეყნებლად (ეთერში) გამოსვლის ნებართვას.

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ტირაჟს განსაზღვრავს რედაქტორი (მთავარი რედაქტორი) გამომცემელთან შეთანხმებით.

კანონიერ საფუძველზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციის გავრცელებისადმი წინააღმდეგობა, მათ შორის ტირაჟის ან მისი ნაწილის ამოღების გზით, არ დაიშვება, თუ ამას არ მოითხოვს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

**მუხლი 23. ოფიციალური ცნობები**

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მოვალენი არიან გამოაქვეყნონ ამ ორგანოების ოფიციალური ცნობები.

რედაქცია მოვალეა უფასოდ და აღნიშნულ ვადაში გამოაქვეყნოს სასამართლოს ან სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს მითითებას ამ მასობრივი ინფორმაციის საშუალების მეშვეობით ასეთი გადაწყვეტილების გამოქვეყნების შესახებ.

## თავი 4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ურთიერთობა მოქალაქეებთან და ორგანიზაციებთან

**მუხლი 24. მასობრივი ინფორმაციის საშუალების მეშვეობით ინფორმაციის მიღების უფლება**

მოქალაქეებს აქვთ უფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალების მეშვეობით ოპერატიულად მიიღონ უტყუარი ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ გაერთიანებათა, თანამდებობის პირთა საქმიანობის შესახებ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ ასეთი ინფორმაცია მიიღონ სახელმწიფო ორგანოებისაგან, საზოგადოებრივი გაერთიანებებისაგან, თანამდებობის პირებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, თანამდებობის პირნი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აწვდიან არსებულ ცნობებს და აძლევენ საშუალებას გაეცნონ დოკუმენტებს.

უარის თქმა მოთხოვნილი ცნობების მიწოდებაზე შეიძლება გაასაჩივროს მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენელმა ზემდგომ ორგანოში ან თანამდებობის პირთან, შემდეგ კი სასამართლოში მოქალაქეთა უფლებების შემლახავი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების არამართლზომიერი მოქმედების გასაჩივრებისათვის კანონით გათვალისწინებული წესით.

**მუხლი 25. ავტორთა მასალებისა და წერილების გამოყენება**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ჟურნალისტიკის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებების გამოყენება დაიშვება საავტორო უფლების დაცვის პირობებში.

არავის არა აქვს უფლება დაავალდებულოს მასობრივი ინფორმაციის საშუალება გამოაქვეყნოს რედაქციის მიერ უარყოფილი მასალა, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არ არის კანონით.

მკითხველთა წერილების გამოქვეყნებისას დაიშვება მათი ტექსტის შემცირება და რედაქტირება, რომლებიც არ ამახინჯებს წერილების აზრს.

**მუხლი 26. უარყოფის და პასუხის უფლება**

მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციას მოსთხოვოს სინამდვილის შეუსაბამო და მათი პატივისა და ღირსების შემბღალავი გამოქვეყნებული მონაცემების უარყოფა.

მოქალაქეს ან ორგანიზაციას, რომელთა შესახებ მასობრივი ინ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კ ა ნ ო ნ ი

# პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ

(დასასრული)

ფორმაციის საშუალებაში გამოქვეყნებულია მათი უფლებისა და კანონიერი ინტერესების შემბღალავი ცნობები, უფლება აქვთ გამოაქვეყნონ თავისი პასუხი მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებაში.

უარყოფა ან პასუხი ქვეყნდება გაზეთში სპეციალური რუბრიკით ან იმავე გვერდზე და იმავე შრიფტით, როგორც უარყოფილი ცნობა: გაზეთებში — მოთხოვნის შემოსვლის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, სხვა პერიოდულ გამოცემებში—მორიგ გამოშვებაში.

უარყოფას ან პასუხს რადიოს თუ ტელევიზიის დიქტორი კითხულობს გადაცემების იმავე პროგრამაში ან ციკლში და იმავე დროს, მოთხოვნის მიღების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. პასუხით გამოსვლის უფლება შეიძლება მიეცეს აგრეთვე თვით მოქალაქეს ან ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც გამოაცხადა მოთხოვნა პასუხის გამოქვეყნების შესახებ.

რედაქცია მოვალეა გამოაქვეყნოს სტანდარტულ მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტის ერთ ფურცლამდე მოცულობის პასუხი. პასუხის ტექსტის რედაქტირება არ დაიშვება.

**მუხლი 27. სასამართლოს მიერ უარყოფის ან პასუხის გამოქვეყნების შესახებ განცხადების განხილვა**

უარყოფის ან პასუხის გამოქვეყნებაზე უარის ან ასეთი პუბლიკაციისათვის დაწესებული ერთი თვის ვადის დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს პუბლიკაციის დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

სასამართლო განიხილავს განცხადებას მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციის მიერ უარყოფის ან პასუხის პუბლიკაციის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

**მუხლი 28. ინფორმაციის გაუხმაურებლობის განსაკუთრებული შემთხვევები**

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციას, ჟურნალისტს უფლება არა აქვს:

1) დაასახელოს პირი, რომელმაც მისცა ცნობები იმ პირობით, რომ არ გაახმაურებდა მის სახელს, იმ შემთხვევების გარდა, როცა ამას სასამართლო მოითხოვს;

2) გაახმაუროს წინასწარი გამოძიების მონაცემები პროკურორის, გამომძიებლის ან იმ პირის წერილობითი ნებართვის მიუღებლად, რომელიც აწარმოებს მოკვლევას;

საჯაროდ გამოიტანოს ყოველგვარი ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მითითება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის პიროვნებაზე მისი თანხმობის და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის მიუღებლად;

3) წინასწარ განსაზღვროს თავის ცნობებში კონკრეტული საქმის გამო სასამართლო გარჩევის შედეგები ან სხვაგვარად მოახდინოს ზემოქმედება სასამართლოზე კანონიერ ძალაში გადაწყვეტილების ან განაჩენის შესვლამდე.

## თავი 5. ჟურნალისტის უფლებანი და მოვალეობანი

**მუხლი 29. ჟურნალისტი**

ამ კანონის შესაბამისად ჟურნალისტი არის პირი, რომელიც აგროვებს, ქმნის, რედაქციას უწევს ან ამზადებს მასალებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებისათვის, რომელიც მასთან დაკავშირებულია შრომითი ან სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობით, ანდა ასეთ საქმიანობას ეწევა მისი რწმუნებით.

**მუხლი 30. ჟურნალისტის უფლებანი**

ჟურნალისტს უფლება აქვს:

1) ეძებოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია;

2) მიღებული იყოს თანამდებობის პირის მიერ პროფესიული ჟურნალისტური მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებით;

3) აწარმოოს ყოველგვარი ჩანაწერები, მათ შორის აუდიოვიზუალური ტექნიკის საშუალებების გამოყენებით, კინო და ფოტოგადაღება, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა;

4) ჟურნალისტის მოწმობის წარდგენის შემდეგ ჩაიდეს სტიქიურ უბედურებათა რაიონებში, დაესწროს მიტინგებსა და დემონსტრაციებს;

5) მიმართოს სპეციალისტებს შემოსულ მასალებთან დაკავშირებით ფაქტებისა და გარემოებების შემოწმების დროს;

6) უარი თქვას თავისი ხელმოწერით მასალის შექმნაზე, რომელიც ეწინააღმდეგება მის მრწამსს;

7) მოხსნას თავისი ხელმოწერა მასალას, რომლის შინაარსი, მისი აზრით, დაამახინჯეს სარედაქციო მომზადების პროცესში;

8). დაიცვას ავტორობის საიდუმლოების დაცვა.

ჟურნალისტი სარგებლობს აგრეთვე ამ კანონის შესაბამისად მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

**მუხლი 31. ჟურნალისტთა აკრედიტაცია**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებათა ორგანოებთან შეთანხმებით მოახდინონ თავიანთი ჟურნალისტების აკრედიტაცია მათთან.

ორგანოები, რომლებთანაც აკრედიტებულია ჟურნალისტი, მოვალენი არიან წინასწარ აცნობონ მას, თუ როდის იმართება სხდომები, თათბირები და სხვა ღონისძიებანი, უზრუნველყონ სტენოგრამებით, ოქმებით და სხვა დოკუმენტებით.

**მუხლი 32. ჟურნალისტის მოვალეობანი**

ჟურნალისტი მოვალეა:

1) განახორციელოს მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალების საქმიანობის პროგრამა, რომელთანაც მას შრომითი ურთიერთობა აქვს, ახელმძღვანელოს სარედაქციო წესდებით.

2) შეამოწმოს მის მიერ გადაცემული ინფორმაციის უტყუარობა;

3) დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა თხოვნა მათი ავტორობის მითითების შესახებ, თუ ასეთი ინფორმაცია პირველად ქვეყნდება;

4) უარი თქვას რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) ან რედაქციის მიერ მისთვის მიცემულ დავალებაზე, თუ იგი კანონის დარღვევასთან არის დაკავშირებული;

5) პატივი სცეს მოქალაქეთა უფლებებს, კანონიერ ინტერესებს, ეროვნულ ღირსებას, ორგანიზაციათა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ჟურნალისტს ეკისრება აგრეთვე ამ კანონიდან გამომდინარე სხვა მოვალეობანი.

## თავი 6. საერთაშორისო თანამშრომლობა მასობრივი ინფორმაციის დარგში

**მუხლი 33. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.**

საერთაშორისო თანამშრომლობა მასობრივი ინფორმაციის დარგში ხორციელდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია სხვა წესები, ვიდრე ისინი, რომლებსაც ეს კანონი შეიცავს, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ჟურნალისტთა პროფესიული ორგანიზაციები, სხვა შემოქმედებითი კავშირები მონაწილეობენ საერთაშორისო თანამშრომლობაში მასობრივი ინფორმაციის დარგში და ამ მიზნით შეუძლიათ დადონ შეთანხმებანი უცხოეთის მოქალაქეებთან და ორგანიზაციებთან.

სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე საზღვარგარეთის წყაროების, მათ შორის პირდაპირი სატელევიზიო მაუწყებლობის, რადიომაუწყებლობისა და პრესის მეშვეობით.

**მუხლი 34. სსრ კავშირში უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური და სხვა წარმომადგენლობების საქმიანობა.**

სსრ კავშირში აკრედიტებული უცხოელ კორესპონდენტებისა და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სხვა წარმომადგენლების სამართლებრივ მდგომარეობასა და პროფესიულ საქმიანობას, აგრეთვე სსრ კავშირში დიპლომატიური, საკონსულო და სხვა ოფიციალური წარმომადგენლობების საინფორმაციო საქმიანობას არეგულირებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები.

## თავი 7. პასუხისმგებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

**მუხლი 35. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლები**

სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება, სინამდვილის შეუფერებელი ცნობების გავრცელება, რომლებიც ბღალავენ მოქალაქის ან ორგანიზაციის პატივსა და ღირსებას, ჟურნალისტთა ზემოქმედება სასამართლოზე იწვევს სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ ან სხვა პასუხისმგებლობას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნეს პასუხისმგებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონმდებლობის სხვა დარღვევებისთვისაც.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ამაში ბრალეულ თანამდებობის პირებს, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციას, რედაქტორს (მთავარ რედაქტორს), გავრცელებული ცნობებისა და მასალების ავტორებს.

**მუხლი 36. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა.**

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ ჟურნალისტთა კანონიერი პროფესიული საქმიანობის დაბრკოლება, ჟურნალისტთა იძულება გაავრცელონ ან უარი თქვან ინფორმაციის გავრცელებაზე იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასა და ისჯება ხუთას მანეთამდე ჯარიმით.

**მუხლი 37. პასუხისმგებლობა მასობრივი ინფორმაციის უკანონო მომზადებისა და გავრცელებისათვის.**

მასობრივი ინფორმაციის საშუალების პროდუქციის დამზადება და გავრცელება, თუ იგი რეგისტრაციაში არ არის გატარებული ამ კანონის შესაბამისად, ან მისი გამოშვებისა თუ გამოცემის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების შემდეგ, იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ხუთას მანეთამდე ჯარიმის სახით, რომელსაც სახალხო სასამართლო აკისრებს, ნაბეჭდი ან სხვა პროდუქციის ტირაჟის ამოღებითურთ.

წლის განმავლობაში ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის განმეორებით ჩადენა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება ათას მანეთამდე ჯარიმით ბრალეულის კუთვნილი იმ ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით, რომლებსაც იყენებს ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელებისათვის, ან უკონფისკაციოდ.

**მუხლი 38. სინამდვილის შეუფერებელი ცნობების გავრცელებისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შემთხვევები.**

რედაქტორს (მთავარ რედაქტორს), ასევე ჟურნალისტს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებაში იმ ცნობების გავრცელებისათვის, რომლებიც არ შეეფერება სინამდვილეს:

1) თუ ამ ცნობებს შეიცავდა ოფიციალური ინფორმაციები;

2) თუ ისინი მიღებულია საინფორმაციო სააგენტოებისაგან ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების პრესსამსახურებისაგან;

3) თუ ისინი სიტყვასიტყვით იმეორებენ ყრილობებსა და საბჭოების სესიებზე სახალხო დეპუტატთა გამოსვლებს, საზოგადოებრივ გაერთიანებათა ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების დელეგატთა გამოსვლებს, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირთა ოფიციალურ გამოსვლებს;

4) თუ მათ შეიცავდნენ საავტორო გამოსვლები, რომლებიც ეთერში გადის წინასწარი ჩაწერის გარეშე, ან ტექსტები, რომლებიც არ ექვემდებარება რედაქტირებას ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 39. მორალური ვნების ანაზღაურება**

მორალურ (არაქონებრივ) ვნებას, რომელიც მოქალაქეს მიადგა მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ სინამდვილის შეუფერებელი ცნობების გავრცელების შედეგად, რომლებიც ბღალავენ მოქალაქის პატივსა და ღირსებას, ან რომლებმაც მას მიაყენეს სხვა არაქონებრივი ზიანი, სასამართლოს გადაწყვეტილებით ანაზღაურებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალება, აგრეთვე ბრალეული თანამდებობის პირები და მოქალაქეები. ფულადი გამოხატულებით მორალური (არაქონებრივი) ვნების ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი, 1990 წლის 12 ივნისი.

## ეწვიეთ სანატორიუმს!

ჭკადუაშის დედათა და ბავშვთა სანატორიუმმა პირველ ნაკადში უმასპინძლა ბელორუსიიდან ჩამოსულ ნორჩ დამსვენებლებს რომლებიც ამ დღეებში (12 ივლისს) დასტოვებენ სტუმართმოყვარე ჭკადუაშს. 13 ივლისიდან კი სანატორიუმი ემატება დამსვენებლებს დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონიდან. შეგახსენებთ, რომ ერთი საგზურის ღირებულება 170 მანეთია, დამსვენებელი კი იხდის მხოლოდ 22 მანეთს.

სანატორიუმში საუკეთესო პირობებია შექმნილი. დამსვენებლების განკარგულებაშია 2-3-4 და 5 ადგილიანი იზოლირებული ბინები. ოჯახს, რომელიც ხუთი სულისაგან შედგება, 24 დღიანი დასვენება მკურნალობით დაუჯდება მხოლოდ 110 მანეთი.

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, ფიზიოკაბინეტი, სააბაზანო, ფიზკულტურისა და მასაჟის კაბინეტები, კვება ოთხჯერადია. სანატორიუმში ბავშვები მიიღება 1 წლის ასაკიდან.

ეწვიეთ სანატორიუმ „ჭკადუაშს". არ ინანებთ, დასვენებით კმაყოფილი დარჩებით.

## რევაზ ივარდავას ხსოვნას



საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკთა რიგებს უდროოდ გამოაკლდა ნიჭიერი ორგანიზატორი, ინჟინერ-ტექნოლოგი. ბავშვობა ზედაეწერში გაატარე. ისწავლე ზუგდიდის პირველ საშუალო სკოლაში, ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიურ ტექნიკუმში, მოსკოვის კვების მრეწველობის ინსტიტუტში.

1959 წელს ც წყე მუშაობა „საქჩაის" ტრესტის ზუგდიდის №2 ჩაის ფაბრიკაში. სხვადასხვა დროს გხედავდით №1 ჩაის ფაბრიკის ინჟინერ-ტექნოლოგად, ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის ჯერ მთავარ ინჟინერ-ტექნოლოგად, ხოლო შემდგომ დირექტორად. 1976-82 წლებში ზუგდიდის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ბევრი რამ გააკეთე ქართული ჩაის პრესტიჟის ასამაღლებლად. გხედავდით მუდამ მოუსვენარსა და მშრომელს, მომთხოვნსა და აკურატულს.

ჩაის ფაბრიკების ზუგდიდის საწარმოო გაერთიანების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადაგიყვანეს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილედ მრეწველობის დარგში, ხოლო მიმდინარე წლის თებერვლიდან იყავი ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორი.

გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდი აგრომრეწვის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საკავშირო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზუგდიდის ფილიალის კათედრის გამგედ, წლების მანძილზე პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრს, საქალაქო და რაიონული საბჭოს არაერთგზის დეპუტატს, საზრუნავი ბევრი გქონდა, იყავი მუდამ შემართული და საქმიანი.

„სამატით ნიშნის" ორდენის მიღებისას მომღიმარი თვალებით მოგვჩხედე და გვითხარი: ჯილდო თქვენიცააო, მეგობრებო!

შენს პიროვნებაში ჰარმონიულად იყო შეხამებული ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებები —მეგობრობის დიდი ძალა, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, სიმამაცე და რაც მთავარია, სამართლიანობა.

არ გვეგრძენი დრომ როგორ ჩაიარა, გაჭაღარავდი... ორმოცდაათი წელი შეგისრულდა, ხეირიანად ვერ მოგილოცეთ... დღეს კი... დღეს აღარა ხარ. ზუგდიდი გააოგნა შენმა ტრაგიკულმა სიკვდილმა. უზომოა მწუხარება მოხუცებული დედის, მეუღლის, შვილების, ახლობლების, მეგობრების...

მარადისობაში გადასახლებული გვენანება ყველას, ყველას, ვინც კი გიცნობდა და ვის ხსოვნაში ალალმართალი, უპრეტენზიო, კაცური კაცის სახელით ილოცხლებ მუდამ.

მშვიდობით ჩვენო საყვარელო მეგობარო, რეზო!

მეგობრები.

რედაქტორი

ა.ა. მანტურია.

## გიწვევთ სასწავლებლად!

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმი

## აცხადებს

აბიტურიენტთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

საშუალო დამთავრებულთა ბაზაზე:

მეორე კურსი (სწავლების ვადა 2 წელი).

1. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა. 2. სამშენებლო მანქანებისა და მოწყობილობათა ექსპლოატაცია და რემონტი. 3. საბუღალტრო-ეკონომიური. 4. ცელულოზისა და ქაღალდის წარმოება. 5. ჩაის პროდუქტთა ტექნოლოგია. 6. დაკონსერვების (გემოკვების) ტექნოლოგია.

დაუსწრებელი განყოფილება. (საშუალო დამთავრებულთა ბაზაზე).

1. საბუღალტრო-ეკონომიური. 2. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა. 3. დაკონსერვების (გემოკვების) ტექნოლოგია. 4. სამშენებლო მანქანებისა და მოწყობილობათა ექსპლოატაცია და რემონტი.

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს:

1. ტექნიკოს მშენებლებს სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობისათვის. 2. ტექნიკოს-მექანიკოსებს სამშენებლო მანქანებისა და მოწყობილობათა ექსპლოატაციისა და რემონტის განხრით. 3. ბუღალტერ-ეკონომისტებს. ვაჭრობის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კვების მრეწველობის დარგებისათვის. 4. ტექნიკოს-ტექნოლოგებს ჩაის ფაბრიკებისათვის და საკონსერვო ქარხნებისათვის. 5. ტექნიკოს-ტექნოლოგებს ქაღალდისა და ცელულოზის წარმოებისათვის.

ტექნიკუმში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება. დაუსწრებელ განყოფილებაზე მიღებისას ასაკი განუსაზღვრელია.

ტექნიკუმში შემსვლელებმა დირექტორის სახელზე უნდა შეიტანონ ტექნიკუმის სპეციალურ ბლანკზე შევსებული განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №086 უ), 4 ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ. თუ სტაჟი გააჩნია ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივლისიდან 10 აგვისტომდე.

ტექნოლოგიურ დარგებზე შემსვლელები აბარებენ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენასა და ლიტერატურაში წერა (თხზულება), 2. ქიმია (ზეპირი).

სამშენებლო, საბუღალტრო-ეკონომიური და სხვა სპეციალობაზე შემსვლელები აბარებენ გამოცდას ქიმია ზეპირის ნაცვლად მათემატიკა ზეპირში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 10-დან 21 აგვისტომდე. ჩარიცხვა 21-დან 24 აგვისტომდე.

ა) ტექნიკუმში შემსვლელებმა პირადად უნდა წარმოადგინონ პასპორტი. სამხედრო ვალდებულებმა პასპორტთან ერთად მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი.

ბ) 8 აგვისტოს (ოთხშაბათს) დღის 12 საათზე ეწყობა „ღია კარის დღე". ტექნიკუმი ეპატიჟება შემსვლელებს და მათ მშობლებს. სტუმრები გაეცნობიან მასალებს ტექნიკუმის დაარსების ისტორიიდან. დაათვალიერებენ კაბინეტ-ლაბორატორიებს, გაეცნობიან მისაღები გამოცდების ცხრილს და მიიღებენ კონსულტაციებს მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე.

გ). გამოშვების ხუთ პროცენტში მოხვედრილი ხუთოსნები სარგებლობენ ოქროს მედალოსანთა ყველა უფლებით.

დ). შემსვლელებმა გამოცდებამდე უნდა ჩააბარონ ფიზკულტურაში დადგენილი ნორმატივები.

ე). გამოშვების 10 პროცენტში მოხვედრილებს იმავე წელს შეუძლიათ სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში ყოველგვარი სავალდებულო სტაჟის გარეშე.

ვ). განყოფილების საბუღალტრო-ეკონომიურ სპეციალობაზე შემსვლელთათვის სავალდებულოა მუშაობა პროფილის მიხედვით.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №2-ა ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმი. ტელეფონები: 2—21—11, 2—37—52, 2—37—46.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კვირის გარდა ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე.

დირექცია.

---

მეუღლე დოდო, შვილები ემა, თინა, ზვიადი, დისშვილები: ნატრული, პაატა მებონიები, დეიდები: ძაბა, ნათელა ქანთარიები, დეიდაშვილები როლანდი, ჟურა. ლაურა ჯანჯარიები, ია, ბონდო ქანთარიები, ბიძაშვილები: გერმანე, ჭიჭიკო, ომი. გენადი დარასელიები, ნოდარი, გოგი. ნონა. გივი გვასალიები, ვოვა, შურიკო, ვიტია, ნინა ქანთარიები, სიძეები: გია თოდუა, მიშიკო ძანძავა, თამაზ ხასია, რძალი რუსიკო ყიფიანი, მზახლები ვენერა, ნოდარი თოდუები იუწყებიან

**გივი ივანეს ძე დარასელიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ივლისს. გამოსვენება 8 ივლისს 6 საათზე, ანთიმოზ როგავას 4-დან, დაკრძალვა ზემო კახათის სასაფლაოზე.

---

მეუღლე ლიმონი, შვილები: თინა, ნათელა, ნინელი. ნაზო, მოთა, სიმონი, კლიმენტი. რძლები: ზინა, ნარგიზა, ციალა, ნანი, შვილიშვილები: ზურაბი, გია, მამუკა. ეკა დოჩიები, ლია. გელა ჩხეტიები. იკა, ნიკა ლაგვილავები. სიძეები: მარდონი ჩხეტია, ჯონი ჩიქოვანი. ძმისშვილები: ამირანი, ცაფალა, მანანა, ბუცა, აველინა, ლუიზა, ციალა ლაგვილავები, ცოლისძმა ადამურ ბახტაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლუკა ძოკიას ძე ლაგვილავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 ივლისს, დაკრძალვა 10 ივლისს სოფელ კორცხელში.

---

შვილები: კოლიშა, ზაური, ლიანა, სიძე ლუის თირქია, რძლები: ნათელა, გული. შვილიშვილები: დარეჯანი, ხათუნა, მადონა. ელგუჯა, ტასო. ასმათი, ნინო. კობა საჯაიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**დუშა ფაქას ასულ მოხვაში-საჯაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 ივლისს დაკრძალვა 10 ივლისს ს. ორსანტიაში.

---

ზუგდიდის №2 ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება

**რეზო ალექსანდრეს ძე ივარდავას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

დები: ბაბუცი, ეპრაქსია, ელო გადელიები, დისშვილები: ფრიალა, გივი ეთერიები, ბეჟლარი არდია, ბიძაშვილები: ნათელა, ციალა, როზა. იროდი. ნოშრევანი, ვარდო, თამარა გადელიები, მარო. ნორა. ბესარიონი, სპირიდონი, კარლო ნუნუ ქარჩავები, მამიდაშვილები: აგრა, ვალშა, კონდრა. ვაჟა ლურწკაიები. გიორგი გვასალია, დეიდაშვილი ოთარ ყუფუნია. რძლები: ლუიზა სიჭინავა, მარგო მიქავა, ეთერი ბუკია, პატულია ქარდავა. მიმოზა კირთაძე. სვეტა ჭოხონელიძე. სიძეები კოლია ეთერია. კაკო. ალიოშა ლურწკაიები. გოგი მარლია, ჭიჭიკო ბუკია. ლუდო გაბისონია, გურამი ნარსია ოჯახებით იუწყებიან

**ნინა (დადაჩი) ელიზბარის ასულ გადელიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 ივლისს 19 საათზე. დაკრძალვა 10 ივლისს 19 საათზე ახალაბასთუმანში.

---

მეუღლე ჟუნა, შვილები: თემური, გია. ნუნუ, შვილიშვილები ნუკრი, მაია, ნინო. და ნაზი, ძმები: გვეჯე. ივლიანე. რძლები: ლუნა. გული. ნაზი, მერი, ცოლისდები: ქაქიტო, კიკული. სიძეები: ემზარ კვარაცხელია, მიშა ლემონჯავა. მელენტი კვარაცხელია, შალვა შენგელია. გერონტი ქარდავა. დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდა, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ნოე თომას ძე ლვინჯილიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 9 ივლისს. დაკრძალვა 10 ივლისს სოფელ რიყეში.

---

ზუგდიდის რაიონის საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანების კოლექტივი იუწყება

**რეზო ალექსანდრეს ძე ივარდავას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ჩაის კომბინატ „ოდიშის" კოლექტივი მწუხარებით იუწყება

**რევაზ ალექსანდრეს ძე ივარდავას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ორულუს საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექ-პერსონალი იუწყება

**ლუკა ლაგვილავას** გარდაცვალებას.

---

ორულუს საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან

**ნაზია ერასტოს ასულ კუკავას** გარდაცვალებას.

---

ქ. ზუგდიდის №6 საშუალო სკოლის 1986 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

**ნანა ბუხუტის ასულ ხასიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზედაეწერის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება

**რევაზ ალექსანდრეს ძე ივარდავას** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება იუწყება გამგეობის წევრის, ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორის, ყოფილი თავმჯდომარის მოადგილის მრეწველობის დარგში

**რეზო ალექსანდრეს ძე ივარდავას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

რაიონის ჩაის მრეწველობის მუშაკები იუწყებიან ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების ყოფილი გენერალური დირექტორის

**რეზო ალექსანდრეს ძე ივარდავას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ფაბრიკის დირექტორის

**რევაზ ალექსანდრეს ძე ივარდავას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ცაიშის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება

**რევაზ ალექსანდრეს ძე ივარდავას** გარდაცვალებას.

---

ნარაზენის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება

**რევაზ ალექსანდრეს ძე ივარდავას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის—2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რადიორედაქციის —2-47-08

საქ. სსრ გამსახკომის ზუგდიდისტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №3294